2-6426/24
30-04-2024

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (N07-3/433; 03.04.2024)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2024 წლის 29 აპრილის კომიტეტის სხდომაზე მეორე მოსმენით განიხილა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (N07-3/433; 03.04.2024).

I. კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით წესრიგდება შემდეგი ძირითადი საკითხები: უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისა და უცხოური ძალის ცნებების განმარტება; სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია და სხვა სათანადო პროცედურული საკითხები; უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის მიერ ყოველწლიური საფინანსო დეკლარაციის წარდგენა; კანონპროექტით განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნათა შეუსრულებლობისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.

II. კომიტეტის შეფასება

კანონპროექტი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით აწესრიგებს სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციასა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცებას. ამასთანავე, კანონპროექტი არ ზღუდავს მის საფუძველზე უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობას.

კანონპროექტი ეფუძნება და ესადაგება ისეთ ქვეყნებში მოქმედ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, როგორებიც არის: ამერიკის შეერთებული შტატები[1], ისრაელი[2], აგრეთვე ევროკავშირის სათანადო ორგანოების მიერ განსახილველ დირექტივის პროექტს,[3] საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის (საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის) მიერ მიღებულ კანონპროექტს[4]. წარმოდგენილი კანონპროექტი შეესაბამება ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპებს.[5]

ამრიგად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონპროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 109-ე მუხლის შესაბამისად განიხილა აგრეთვე საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას მიერ კანონპროექტის ცალკეული ნორმების თაობაზე წარდგენილი ალტერნატიული წინადადება. აღნიშნულ ალტერნატიულ წინადადებას არ დაეთანხმა კანონპროექტზე მომხსენებელი, ხოლო კომიტეტი მის მიღებას არ მიიჩნევს მიზანშეწონილად.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (N07-3/433; 03.04.2024) კომიტეტის სხდომაზე განხილვის შედეგად ცნო საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად, ხოლო საქართველოს პარლამენტის წევრის თეონა აქუბარდიას მიერ კანონპროექტის ცალკეული ნორმების თაობაზე წარდგენილი ალტერნატიული წინადადება უარყოფილ იქნა.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

---

[1] იხ. https://www.justice.gov/nsd-fara/fara-index-and-act

[2] იხ. https://main.knesset.gov.il/activity/legislation/laws/pages/lawprimary.aspx?t=lawlaws&st=lawlaws&lawitemid=2000650

[3] იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM:2023:637:FIN

[4] იხ. https://www.assemblee-nationale.fr/dyn/16/textes/l16t0269_texte-adopte-seance

[5] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ეკოდიფენსი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (Ecodefence and Others v. Russia), განაცხადები N9988/13 და სხვა; იხ. აგრეთვე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2020 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე C-78/18 უნგრეთთან მიმართებით.